



ა კ ა ლ ი ტ ე ბ ი

# ე ნ გ მ ე ბ ე ბ ი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქ. შიომღვევის სახლის ქუჩაზე – ოჯახი წელიძეა, ქუთაისი  
სამართლის განხხადების – ენერგეტიკის სამინისტრო



№13, ნოემბერი, 2019



## ზურაპ აბაშიძე

### ერთული ეცნიკლოპედია

საქართველოში საენციკლოპედიო-ლექსიკოგრაფიულ საქმიაობას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ შეუა საუკუნეებში ფილო-სოფიურ-თეოლოგიურ და საისტო-რიო-ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს მუდამ თან ერთვოდა ენციკლოპედიური ხასიათის კომენტარი. სამეცნიერო ცნობების, ტერმინების განმარტებანი უსვად გვხვდება ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელისა და სხვა სახის სიძლიერებისა და სხვა მოღვაწეთა ნაშრომებში.

ერთულ საენციკლოპედიო-ლექსიკოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა სულხან-საბა თრტელიანის „ქართულმა ლექსიკონმა“. განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრეთვე იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიურ ნაშრომს „კალმასობას“ (1813–28). 1898–99 წლებში ივანე როსტომაშვილის რედაქციით გამოვიდა მრავალტომეულად განზრახული „რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის“ პირველი ოთხი წიგნი. XX საუკუნის დასასწისში მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დონემ, ეროვნული ინტელიგენციის მომძღვრებამ კიდევ უფრო თვალ-

საჩინო გახადა ქართული ენციკლოპედიის შექმნის აუცილებლობა. ქართველმა მეცნიერებმა ალექსანდრე ცაგარელის, ვასილ ბეტრიაშვილისა და ალექსანდრე ხახანაშვილის მეთაურობით გადაწყვიტეს გამოცათ „საქართველოს ენციკლოპედია“. შეიქმნა ცნობილ მეცნიერთა და საზოგდო მოღვაწეთა საგანგებო ამხანაგობა, შედგენილ იქნა გამოცემის ვრცელი პროგრამა, მაგრამ მაშინდელ პირობებში ამ პატრიოტულ საქმეს განხორციელება არ ეწერა.

XX საუკუნის 30-იან წლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციის შექმნას. მთავარი რედაქტორი იყო მალაქია ტოროშვილი, პასუხისმგებელი მდივანი – სიმონ ყაუხელიშვილი. ენციკლოპედიის შექმნაში მონაწილეობდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის კორიფეები. 1933 წელს მზად იყო გამოცემის სიტყვანი. უკვე ერთი წლის შემდეგ რედაქციაში თითქმის დაასრულა | ტომზე მუშაობა, მაგრამ შემდგომ ეტაპზე თავი იჩინა პოლიგრაფიულმა და სხვა სახის სიძლიერებმა. მასობრივი რეპრესიები რედაქციის თანამშრომლებსაც შეეხო. 40-იანი წლების დასაწყისში გამოცემაზე მუშაობა შეწყდა. შემორჩენილია რედაქციის არქივი (კერძოდ, ავტორთა სტატიები) და სამაკეტოდ დასტამბული ტექსტის ათოოდე თაბაზი. გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილ საენციკლოპედიო წერილებს დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ლირებულება (ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ს. ჯანაშიას, გ. ქიქოძის და სხვ. წერილები).

განახლებული სახით ქართული ენციკლოპედიის რედაქცია 1966 წელს დაარსდა ირაკლი აბაშიძის თაოსნობით, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ საშვილიშვილო საქმეს.

ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რედაქციის მიერ პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის თორმეტული ენციკლოპედიის გამოცემას 1975–87 წლებში (მთ. რე-



დაქტორი – ირ. აბაშიძე, მთ. რედაქტორის მოადგილეები – რ. მეტრეველი, ა. საყვარელიძე, პ/მგ მდივანი – გ. უორულიანი, თ. ხოშტარია, ი. ვარდოსანიძე). მის შექმნაზე მუშაობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და სპეციალისტები. ენციკლოპედიის 80-ათასიანი ტირაჟი მაღლე გაიყიდა და რარიტეტად იქცა. იგი დღემდე რჩება ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ ქართულ ენაზე ცოდნის სხვადასხვა სფეროში.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ბოლო ტომის გამოცემის შემდეგ 30 წელი გავიდა. მას შემდეგ ჩვენში, და მთლიანად მსოფლიოში, ისტორიული ცვლილებები მოხდა. განსაკუთრებით რთული იყო რედაქციისათვის, ისევე როგორც მთელი ქვეყნისათვის, 1990-იანი წლები. თანამშრომლებს ფაქტობრივად უსახსროდ უწევდათ სამეცნიერო საქმიანობა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა მუშაობის დაწყება ენციკლოპედია „საქართველოზე“, რომლის პირველი ტომი 1997 წელს გამოიცა.

2006 წელს, მას შემდეგ, რაც ენციკლოპედიის რედაქციის შენობა გადაეცა ილიას უნივერსიტეტს, ენციკლოპედია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში განთავსდა.

ამჟამად რედაქციის საქმიანობა უმთავრესად სწორედ ენციკლოპედია „საქართველოს“ მომზადებაზეა მიმართული. ახლახან გამოიცა მეოთხე ტომი.

ენციკლოპედია „საქართველოს“ IV ტომში მეტაველს ვანვდით მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოსა და ქართველებზე, ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე, ფაქტსათუ მოღვაწეზე. ასევე, იმ უცხოელებსა და მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებზე, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. აღნიშნულ ტომში წარმოდგენილია ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ის ძირითადი სფერო, რომელთან და-



კავშირებითაც საქართველო განიხილება მსოფლიოს საერთო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

ენციკლოპედია „საქართველოს“ დასაყრდენია უახლესი ინფორმაცია და მონაცემები, პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის ორმეტომეული და რედაქციის მიერ მომზადებული სხვა გამოცემები. მასალების შერჩევისა და აგბის ძირითად მეთოდოლოგიურ პროცესში ცვლილებებია შეტანილი (იგულისხმება ცალმხრივი იდეოლოგიზაციის, დოგმებისა და სტერეოტიპების დაძლევა). როგორც წესი, გადამუშავდა, განახლდა ძველი და დაინტერა ახალი სტატიები.

აღსანიშნავია, რომ თავიდან გათვალისწინებული იყო ენციკლოპედია „საქართველოს“ 5 ტომად გამოცემა, თუმცა ბოლო ათეული წლების მანძილზე უხვად დაგროვილი ახალი ინფორმაციის გამო შესაძლებელია ენციკლოპედიის ტომების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდოს.

ბოლო 16 წლის მანძილზე ენციკლოპედიის რედაქციამ სამეცნიერო საზოგადოებასა და ფართო მკითხველს რამდენიმე საინტერესო გამოცემა შესთავაზა. კერძოდ, 2002 წელს გამოიცა ენციკლოპედია „თბილისი“, რომელშიც თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილია ძირითად ცნობები ჩვენი დედაქალაქის შესახებ. წიგნმა ქართველი მკითხველის დიდი ინტერესი და მონონება დაიმსახურა. 2008 წელს კი ქართული ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ გამოსცა ენ-

ციკლოპედიური ლექსიკონი „თბილისი: ქუჩები, გამზირები, მოედნები“. წიგნში დეტალურადაა ასახული თბილისის ქუჩების მდებარეობა, ისტორია და არქიტექტურული სახე, მოცემულია იმ პირთა ბიოგრაფიული ცნობები, ვის სახელსაც ატარებს ესა თუ ის ქუჩა. წიგნს დართული აქვს სახელშეცვლილი ქუჩების სია, 117 სექმატური რუკა თავისი საძიებლებით, რომელშიც მითითებულია 2400-მდე ობიექტის კოორდინატები; გამოცემას უფრო თვალსაჩინოს ხდის ასობით ფოტოილუსტრაცია.

ეს არის უნიკალური გამოცემა, სადაც ასახულია ის ცვლილებები, რაც განიცადა თბილისის ქუჩების სახელწოდებებმა XIX ს-იდან დღემდე. ამისათვის დამუშავდა 1846-1917 წლებში გამოცემული კავკასიის კალენდრები, თბილისის გეგმები და ტოპოგრაფიული რუკები, ქუჩების ცნობარები, თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული საარქივო მასალა, საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკში არსებული შესაბამისი ლიტერატურა და სხვ.

ჩვენი აზრით, ახლო მომავალში სასურველი იქნებოდა აღნიშნული ნაშრომის განახლებული ვარიანტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელი იქნება თბილისის საკურპულოს სახელდებისა და სიმბოლოების შემსწავლელ კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობა.

ქართული ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, მომზადა განმარტივით და ორთოგრაფიული

ლექსიკონთა სერია, მათ შორის კ. გიგინიშვილის „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1985), „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული“ (1986, მეორე გამოცემა 2 ნაკვეთად, 1990); „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1987; მეორე გამოცემა – 2009); „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1989); „უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1989) და სხვ.

2008 წელს გამოიცა პირველი ქართული სამეცნიერო-დარგობრივი ენციკლოპედია „ქართული ეხა“, რომელიც მოიცავს ქართული ენის ისტორიისა და ფუნქციონირების (სალიტერატურო ენა, სახელმწიფო ენა) ყველა ასპექტს. იგი აშენებს ქართული ენის ისტორიის, სტრუქტურის, დიალექტური შედეგენილობის პრობლემებს, მოყოლებული ძველი დროიდან თანამედროვე ქართულის ჩათვლით. ქართული ენა განხილულია ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე, რაც მიუთითებს ქართველ მეცნიერთა და უცხოელ ქართველოლოგთა მიღწევებზე ამ დარგში. ენციკლოპედიაში ასახულია მასალა ქართველური და კავკასიური ენების, აგრეთვე იმ ენების შესახებაც, რომლებიც საქართველოში იყო ან არის გავრცელებული, ან რაიმე კონტაქტი ჰქონდათ ქართულ ენასთან უშუალოდ ან მნიგნობრული გზით. ამ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის კონტაქტების შესასწავლად. ზოგიერთი ცნობა დაიბეჭდა პირველად. საგანგებოდ უნდა

აღინიშნოს ძველი ქართული გრამატიკული აზრის განვითარების და ლექსიკოლოგიური კვლევის შემსწავლელი მასალები, მ. შ. ზოგი პირველად გახდა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. ენციკლოპედიაში მიმოხილულია მნიშვნელოვანი ქართული ეპიგრაფიული ძეგლები, რომლებიც შემონახულია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. უნდა აღინიშნოს ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ქართული ძეგლების ამსახველი მასალები. სტატიებს ახლავს უნიკალური ილუსტრაციები. ზოგიერთი ცნობა და ილუსტრაცია ასევე პირველად გახდა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. ენციკლოპედიაში ასახულია ქართული მნიგნობრობის ცენტრები უძველესი დროიდან მოყოლებული, თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი სამეცნიერო დაწესებულებების ჩათვლით.



ენციკლოპედიაში არის სტატიები იმ მოღვაწეთა შესახებ, რომლებმაც, დაწყებული ძველი დროიდან, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართულ მნიგნობრობასა და კულტურაში.

ამ გამოცემით სარგებლობენ როგორც სპეციალისტები, ისე ქართველოლოგის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრე.

2011 წელს წიგნის შემდგენელს იზაბელა ქობალავას და რედაქტორ გურია კვარაცხელის მიერიჭათ აკად. აკაკი შანიძის სახ. პრემია.

პარალელურად მომზადდა „ქართული დამწერლობა – პოპულარული გამოცემა ალბომის სახით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის“. წიგნის ტექსტის ავტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. ელენე მაჭავარიანი.

ძველი ქართული დამწერლობის – ასომთავრულის და ნუსხურის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი კულტურული მემკვიდრეობის გამოსავლენად, განსაკუთრებით ძეგლების ზუსტი დათარიღების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, გამოცემის მიზანია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თვალი გავადევნოთ (ცალკეულ ასო-მოხაზულობათა გრაფიკულ განვითარებას. ვიზუალური მასალის საფუძველზე წიგნში წარმოდგენილია ყოველი ასოს გრაფიკული შედარება თანამედროვე მხედრულ დამწერლობასთან, ხოლო ნუსხური დამწერლობა განიხილება



როგორც შუალედური, გარდამავალი ეტაპი ამ საერთო განვითარებაში.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან საქმეს – სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური სასიათის მრავალტომებულის – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ გამოცემას. სამუშაოთა კოორდინაცია და კრებულის გამოცემა იმთავითვე დაევალა ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას, ხოლო მასალის მომზადება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში მყოფ, შესაბამისი პროფილის ინსტიტუტებს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს.


ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი და სარედაქციო მუშაობის შედეგად, 1990 წელს გამოიცა მრავალტომებულის პირველი წიგნი, რომელშიც შესულია შიდა ქართლის (გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის და ხაშურის რაიონები) 1600-მდე ისტორიისა და კულტურის ძეგლი (აღინიშნა საქართველოს სახელმწ. პრემიით, 1993).

2004 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა „აღწერილობის“ მეორე წიგნი (ნაბეჭდი თაბაზი 33, ტირაჟი 500). აღსანიშნავია, რომ

კრებულის პირველი ტომის ტირაჟი გახლდათ 50 000, რომელიც მიეძღვნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ახმეტის, დუშეთის, თანავისის, ყაზბეგის რაიონები) ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. 2013 წელს დაისტამბა „აღწერილობის“ მესამე წიგნი (ნაბეჭდი თაბაზი 38, ტირაჟი – 500), რომელიც მიეძღვნა გურჯაანის, დედოფლისწყაროს და ყვარლის მუნიციპალიტეტების ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. 2015 წელს გამომცემლობა „ლეთამ“ დასტამბა „აღწერილობის“ მეორე წიგნი (ნაბეჭდი თაბაზი 38, ტირაჟი – 500), რომელშიც მიმოხილულია ქ. თელავისა და თელავის მუნიციპალიტეტების ისტორიისა და კულტურის 363 ძეგლი.

ამრიგად, ამ ოთხ ტომში თავმოყრილია მასალა ისტორიული შიდა ქართლის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის და კახეთის ისტორიისა და კულტურის 3000-მდე ძეგლის შესახებ, არქიტექტურის ძეგლების უმეტესობას ერთვის ნახაზები (გეგმა, ჭრილი, ფასადი და სხვ.) და დამახასიათებელი ფოტოები.

ამას ემატება მიმდინარე წლის ივლისში დაიბეჭდილი აბ გამოცემის რიგით მეხუთე ტომი, რომელიც ეძღვნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურული მეცნიერების ძეგლების. ძეგლების მნიშვნელოვანი წარმილი, როგორც ტექსტობრივი, ისე ვიზუალური მასალა უკვე 2018 წლის მეოთხე კვარტლისათვის იყო ჩვენს მიერ დამუშავებული და დასასტამბად გამზადებული, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, მათი გამოქვენება ვერ მოხერხდა,




რადგან მასალის კამერალურ და-მუშავებასთან ერთად მიმდინარე საველე სამუშაოები, რომლის დრო-საც ჩვენს ხელთ არსებული მასალა ახალი მონაცემებითა და გამოვლე-ნილი ძეგლებით მდიდრდება, მიუხე-დავად ჩვენი დიდი მონძომებისა და მრავალმხრივი მცდელობისა – უს-ახსრობის გამო – შეფერხდა. საქმე ის არის, რომ „აღნერილობაში“ შე-ტანილ უნდა იქნას ყოფილი მუნიცი-პალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურის უკლებლივ ყველა ძეგლი ანუ ის კულტურული ფასეულობა, რომელიც წარმოადგენს ინტერესს ისტორიული, არქეოლოგიური და არ-ქიტეტურული თვალსაზრისით. ეს აუცილებელს ხდის ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში სამეცნიერო-საძიებო სამუშაოების ჩატარებას; კერძოდ რამდენიმე ათეული, სა-მეცნიერო ლიტერატურაში უცნობი არქიტეტურული ნაგებობის შეს-ნავლას და აღნერას – მათ აზომვას, ფოტოგადაღებას და სხვა. ყოვე-ლივე ეს დაკავშირებულია სისტე-მატურ საველე სამუშაოებთან და მოითხოვს მაღალი კვალიციკაციის სპეციალისტთა დასაქმებას, რისი დაფინანსების საშუალება ენციკლო-პედიის მთავარ სამეცნიერო რედაქ-ციას არ გააჩნია.

2011 წელს ენციკლოპედიის რე-დაცუიამ მკითხველს შესთავაზა გა-მოცემა უცხოეთში მოღვაწე იმ ქართველებისა და ქართული წარ-მოშობის პირთა შესახებ, რომლებ-მაც უძველესი დროიდან დღემდე მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ამა თუ იმ უცხოეთის ქვეყნის კულტურ-აში, მეცნიერებასა თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზოგი მათგანი საქა-რთველოში არ დაბადებულა, ზო-გიერთს საქართველოში არც უცხ-ოვრია, ან ბავშვობისას დაუტოვებია სამშობლი; ისინი იმ ქვეყნის კულ-ტურისა და საზოგადოებრივი ცხ-

ოვრების ნაწილად იქცნენ, სადაც მოღვაწეობდნენ. შთამბეჭდავია ამ ქვეყნების ჩამონათვალი: ეგვიპტე, ბიზანტია, საბერძნეთი, პალეს-ტინა, ირანი, ოსმალეთი, ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ამერიკა...

გამოცემაში მოხვდნენ არა მხ-ოლოდ ისინი, რომლებმაც თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლი-ლი შეიტანეს სხვა ქვეყნის ცხოვრე-ბის ამა თუ იმ სფეროში (უფრო მეტიც, ზოგი მათგანი წმინდანად და ეროვნულ გმირადაც კი შერ-აცხეს), არამედ ისინიც, რომლებიც უცხოეთში საქართველოსთვის დაშვრენ და საქართველოს იქიდან გაუწიეს ფასდაუდებელი სამსახური. მაგ., ქეთევან დედოფალი და ექვ-თიმე თაყაიშვილი... ერთი – ქრის-ტიანული სარწმუნოებისათვის თავ-



განწირვის, უმაგალითო ზნეობისა და ლირსების სიმბოლო არა მარ-ტო ქართველთათვის, არამედ მთე-ლი საქრისტიანოსათვის; მეორე – წლების განმავლობაში ეროვნული საგანგურის უანგარო მცველი უცხო მინაზე. ორივე წმინდანად შერაცხა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რადგან მათმა თავდადე-ბამ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელო-ბა შეიძინა.

მასალის მოძიებისას გამოვი-ყენეთ „ქართული საბჭოთა ენცი-კლოპედია“, ენციკლოპედიები „სა-ქართველო“ და „ქართული ენა“, ქართველ (გ. ბერაძე, ნ. ვაჩინაძე, თ. ნატროშვილი, მ. სვანიძე, ბ. სი-ლაგაძე, კ. ფერაძე, მ. ქავთარია, გ. შარაძე, დ. ჯანელიძე, გ. ჯაფარიძე) და უცხოელ მეცნიერთა წარმომე-ბი. უანგარო დახმარება გაგვინია საქართველოს ეროვნულმა მუზე-

უმმა. თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმმა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა, ვ. ჭაბუკი-ანის მემორიალურმა სახლ-მუზეუმ-მა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრმა და დოკუმენტური ფილმების სტუ-დიამ „მემატიანე“.

2014 წელს ენციკლოპედიის რე-დაცუიამ მკითხველს შესთავაზა აღ-ნიშნული გამოცემის მეორე ტომი – „100 ლირსასხსოვარი სახელი“. იგი მიეძღვნა იმ არაქართული წარმო-მავლობის ცნობილ მოღვაწეებსა და უცხოელებს, რომლებმაც ისტორიის მანძილზე დიდი ამაგი დასდეს საქა-რთველოს კულტურას, მეცნიერე-ბას და ა. შ. ეს გამოცემა (ქართუ-ლი, რუსული და ინგლისურ ენგებზე) მადლიერების გამოხატულებაა ამ დიდი პიროვნებების მიმართ, თავ-ისებური საბუთი იმისა, რომ საქა-რთველოში არ ივიწყებენ და პატივს მიაგებენ მათ, ვინც გვერდზე გვ-ედგა ბედნიერებისა თუ უბედობის ჟამს.

ენციკლოპედია ერის ერთგ-ვარი პასპორტია, მისი კულტური-სა და განათლების გამოხატულება. დღევანდელ „ციფრულ სამყაროში“ კი განსაკუთრებით აქტუალურია საკუთარი სივრცის დამკვიდრე-ბა, მეოთხელისათვის ხარისხია-ნი ინფორმაციის მიწოდების სა-შუალებით. ამის გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-ჭება ენციკლოპედიის სპეციალუ-რი ვებ-გვერდის (georgianencyclopedia.ge) დახვენასა და განვითარებას. ამჟამად, აღნიშნულ ვებ-გვერდზე განთავსებულია ენციკლოპედია „საქართველოს“ 3 ტომის მასალა. ვებ-გვერდის მხილველთა რაოდენო-ბამ ბოლო ოთხი წლის განმავლობა-ში თითქმის 3 მილიონი შეადგინა. აღნიშნული ვებ-გვერდი საჭიროებს სტატიების მუდმივ განახლებასა და შევსებას, რაც ენციკლოპედიის რე-დაცუიის ერთ-ერთ მთავარ ფუნქ-ციად ყალიბდება.

ქართული ენციკლოპედიის რე-დაცუია თანამშრომლობს ევრო-პის ქვეყნების ენციკლოპედიურ გა-მოცემებთან. მიმდინარე წლის 10-11 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მი-ლებულ იქნა გადაწყვეტილება თა-ნამედროვე ინფორმაციისა და გა-მოცდილების გაზიარების მიზნით თანამშრომლობის პრაქტიკული მე-ქანიზმის შექმნის თაობაზე.

პ ა ტ ი 3 8 0 8 1



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს ჩატარდა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელის დაბადებიდან 90 წლისთავს. სხდომა გახსნა აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ, ხოლო მოხსენება თამაზ გამყრელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა აკადემიკოსმა, ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა.

ეს საიუბილეო თარიღი კიდევ ერთხელ მთელი მასშტაბით წარმო-



## თამაზ გამყრელი — 90

აჩენს იმ განუმეორებელ წვლილს, რაც აკადემიკოს თამაზ გამყრელიდეს მიუძღვის ქართველოლოგის, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობისა და ინდოევროპეისტიკის განვითარებაში.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიდე მუდმივად იყო ახალ სამეცნიერო იდეათა და წამოწყებათა ინიციატორი და წარმმართველი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მეცნიერებათა აკადემიაში დღეს მუშავდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორიცაა „ქართული ენის თესაურუსი“.

სრულიად განსაკუთრებულია თამაზ გამყრელის ურთიერთობა საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიასთან და მის სულიერ წინამძღოლთან. სწორედ მისი დამსახურება საქართველოს საპატრიარქოსა და მეცნიერებათა აკადემიის ესოდენ მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა.


აკადემიკოსი თამაზ გამყრელიდე იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და რამდენიმე მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი.



90 წლის თამაზ გამყრელიდე კვალავაც აქტიურად ფიქრობს და ზრუნავს ქართული მეცნიერების მიმავალზე, მსჯელობს ქართველოლოგის შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე; მონაწილეობს დედაუნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობაში, ქვეყნის კულტურულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და კავშირები ახალი თაობის ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი მეზურია.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## დ ე დ ა შ ვ ი ლ ტ ე ბ ა მ , ბ ე ვ რ ს ა რ გ თ ხ ე რ ვ 3 . . .



ეს არაჩვეულებრივი ტაეპები ეკუთნის ლტოლვილობაში სამშობლოს ნატვრაში გარდაცვლილ ქართველ შემოქმედს გიორგი გამყრელიძეს (1903-1975) შესანიშნავ მგოსანს, პროზაიკოსს, მთარგმნელს, უურნალისტს და ხელოვნებათმცოდნეს, უაღრესად ფართო თვალსაწირის მქონე, უდავო მგოსნური ნიჭით ცხებულ პიროვნებას. მისი ყველა ლექსი არ არის თანაბარი ძალისა (ნეტავ, ვისი ლექსებია ასეთი!), მაგრამ არაერთი ლექსი, მაგალითად: „მაგრამ რა ვუყო მე ამ ხეებს“, „ამსხვრევდნენ მძიმე ჩაქუჩებით“, ნამდვილი შედევრია და უსათუოდ მომავლის ყველა ქართულ მგოსნურ რჩეულებრივას დაამშვენებს. გიორგი გამყრელიძე დაიბადა ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში, შავი ქვის მრენველის ოჯახში. სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც (გურამ შარაძის ცნობით) დააარსა უურნალი „ბალდადის წეროები“. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაშიც. იყო ცისფერყანწელთა უმცროსი მეგობარი და თანამოსაქმე. წერა ადრიდანვე დაიწყო, როგორც ამას თავის ლექსში „ამერიკა“ გვაუწყებდა: „თქვესმეტი წლიდან მე დავიწყე ლექსების წერა: მიყვარდა ვაჟა, რილკეს ლექსი და პოლ ვერლენი. და როს გავეცან მე, ედგარის სევდიან მლე-


### გიორგი გამყრელიძე

ჩვენ ვერ დაგვიხსნის მოგონება მინანქარ-ბროლის,  
თუ ჩაგვეძინა – განქარდება ჩვენი ხეენება,  
ჩვენს გატეხილ ხრმალს სწრაფად უნდა პვლავ გამრთელება,  
ჩვენი გზა არის რესთველური მზისა და ბრძოლის.  
„ძველი ჰანგები“

რას – მე გავიფიქრე: სწერდეს უნდა ასე მგოსანი, თუ სურს პარნასი დაიმკვიდროს მან სხივოსანი. წარვიდნენ დრონი... გაიტაცა გრიგალმა ტივი; ნალველით სავსე გამოვცალე ბევრი ფიალა; და ბედისნერამ, განნირული „მთვრალ ხომალდივით“, მე დედამინის ყოველ კუთხეს მახეტიალა. როს დავვაჟაუცდი, შევიქნი ალვის მსგავს ტანით, მე გავეცანი ურითმო ლექსს – უოლტ უიტმანის“. პირველი ლექსები უურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ გამოაქვეყნა, ხოლო პირველი მგოსნური კრებული: „შემოდგომის ჭიანურები“ 1920 წელს გამოსცა თბილისში. თუმცა მთელი თავისი არსებით მგოსანი იყო და თბილისის მგოსნურ წრეებში ტრიალებდა, მამამისი, ვისაც ჭიათურაში შავი ქვის რამდენიმე საკუთარი მაღარო ჰქონდა, მასში თავისი საქმის გამგრძელებელს, ხედავდა და ტექნიკური განათლების მიღებას ურჩევდა. 1922 წელს გიორგი გამყრელიძე საქართველოდან გერმანიაში გაემგზავრა და შევიდა კეტენის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებულში, სამთო-საინჟინრო განმტობაზე, რომელიც 1927 წელს დაამთავრა. ბოლშევიკურ საქართველოში ის უკან აღარ დაბრუნებულა. გერმანიაში დაოჯახდა და იქვე დარჩა საცხოვრებლად. 1937 წლამდე მიუნხენში ცხოვრობდა, შემდეგ კი ოთხი წელი ჩეხოსლოვაკიაში მუშაობდა სამთო ინჟინრად. ჭიათურის მაღაროები, სადაც მამა მას დასაქმებას უპირებდა, ამ დროის უკვე კარგა ხნის გასაბჭოებული იყო. 1941 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა. ცხოვრობდა ჯერ დალაში, შემდეგ კი, 1957 წლიდან, ვაშინგტონში. მუშაობდა ვაშინგტონის ბიბლიოთეკის აღმოსავლური

ლიტერატურის განყოფილებაში. იმ ხანად დაიცვა დოქტორის ხარისხი ხელოვნების ისტორიაში (ხელოვნებათმცოდნეობაში). თანამშრომლობდა რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაშიც, 1967 წლამდე. სიცოცხლის ბოლო ორი წელი, მეუღლესთან ერთად დასავლეთ გერმანიაში დაბრუნებულმა, მიუნხენში გაატარა. გარდაიცვალა 72 წლის ასაკში მიუნხენში და იქვე იქნა დასაფლავებული.

გიორგი გამყრელიძე ოთხი წიგნის ავტორი იყო. არ მოიძებნება



მეორე ქართველი მწერალი, ვისი წიგნების გამოცემაც ასე არის ურთიერთს დაშორებული, როგორც დროით, ასევე ადგილით. პირველი მგოსნური კრებული, როგორც ითქვა, თბილისში გამოიცა 1920 წელს. მეორე: „ლურჯი მონკლი“, დაიბეჭდა პარიზში 1932 წელს. მე-

სამე: „გვიანი რთველი“, – სანტიაგოში (ჩილე) 1960 წელს. მეოთხე წიგნი: „ლექსები, მოთხოვებები და ნარკვევები ფრინველებზე“, გამოვიდა ვაშინგტონში 1963 წელს. სრულყოფილად ფლობდა უცხო ენებს: გერმანულს, ინგლისურს, ფრანგულს. იცოდა ჩეხური ენაც. თარგმნიდა: გოეთეს „ფაუსტს“; შილერის, ჰაინცს, ედგარ ალან პოს, შარლ ბოდლერის, პოლ ვერლენის, არტურ რემბოს, რობერტ ფროსტის, კარლ სენდერგის ლექსებს. ნათარგმნი აქვს ჰერმან ჰესეს მოთხოვბა „კუჯაც“. თავის ლექსებს და თარგმანებს ძირითადად ბეჭდავდა პარიზში, უურნალებში: „ბედი ქართლისა“ და „კავკასიონი“. გიორგი გამყრელიდეს ეკუთვნის შესანიშნავი მოგონება ცისფერყანწელების, გალაკტიონ ტაბიდის, ტერენტი გრანელის და სხვა პოეტების შესახებ (უურნალში: კავკასიონი).

**N 19. პარიზი 1984).** მეგობრობდა ლტოლვილობაში მცხოვრებ არაერთ ქართველ მოღვაწესთან, მათ შორის: კალისტრატე სალიასთან, ვიქტორ ნოზაძესთან, გიორგი ყიფიანთან, ვიკი კობახიძესთან. განსაკუთრებული სიახლოეს აკავშირებდა გრიგოლ რობაქიძესთან. თუმცა არც თვითონ იყო დიდად დალხინებული, შეძლებისდაგვარად, ამერიკიდან მატერიალურადაც ეხმარებოდა მძიმე დღეში ჩავარდნილ უფროს კოლეგას. ჰქონდათ ერთმანეთში ცხოველი მიმოწერა. ერთი ცნობით, გრიგოლს მისთვის ასამდე წერილი უნდა ჰქონდა მიწერილი. აქედან რამდენიმე უურნალ „კავკასიონში“ გამოქვეყნდა, ხელნაწერი თუ ბეჭდური სახით. 1979 წელს მიუნხენში კრებულად გამოვიდა (თვითგამოცემის სახით) გრიგოლ რობაქიძის მიერ გიორგი გამყრელიდისთვის მიწერილი ორი ათეული წერილის ფოტოასლები. ეს წერილი გარდაცვლილი მგოსნის მეუღლემ გადასცა მიუნხენში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილებს: ექიმ ვახტანგ ჩხაიძესა და უურნალისტ კარლო ინასარიძეს. დანარჩენი წერილები ჯერჯერობით არ ჩანს. „გრიგოლ რობაქიძის წერილები (ორიგინალი), რომელიც ამ კრებულში არ არის შეტანილი, უთუოდ, ვინმეს გადასცა გიორგი გამყრელიდემ, და, ვიმედოვნებ, რომ არ დაიკარგე-

ბა.“ – წერდა კრებულის შესავალ წერილში კარლო ინასარიძე. 1961 წელს აღრესატებს შორის ურთიერთობა შესამჩნევად გაცივდა. ეს გამოიწვია გრიგოლის მიერ გიორგი

მოჰყვა გრიგოლის რეცენზია გიორგი გამყრელიდის წიგნზე „გვიანი რთველი“ (უურნალში: ბედი ქართლისა. N 39-40. პარიზი 1962), რომელშიც, თუმცა კი მას ავტორი დადგინდა რეცენზიად მიიჩნევს, წიგნის უარყოფითი მხარეები უფროა ნარმოჩნილი ვიდრე დადგებითი. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, იმას, რომ რეცენზინტმა ფერები განზრახ გამუქა. ასეთი რამ საერთოდ არ იყო გრიგოლისთვის დამახასიათებელი. „მე, სიმართლის ერთგული, მისხლობით ვწონავ ჩემს სჯას სხვებზე.“ – მისწერა მან ერთ წერილში ნიკოლოზ ურუშაძეს (უენევა 14.12.1948). გრიგოლ რობაქიძე იმას წერდა ხოლმე, რასაც ფიქრობდა. თუმცა ყველაფერში როდი იყო მართალი, მაგრამ ძირითადში, მთავარში, იშვიათად, თითქმის არასიდეს ტყუდებოდა. „შენს წიგნში მე მომენტონა 9 შაირი და 9 „აკიდო“. ალვინიშე ეს ჩემს წერილში მართებულად. იცოდე: მე რომ პოეტის – სულერთია: ქართველის თუ არაქართველის – წიგნში 9 შაირი და 9 „აკიდო“ მოვინონო, ეს იქნებოდა დიდი ამბავი. ენას შევეხე შენსა. ნათქვამია: „ქართულ მწერლობაში“, სამწუხაროდ, ისე ხშირია გრამმატიკული წესების დარღვევა, რომ მე კიდეც მიკვირს, რომ ავტორს 152-გვერდიან წიგნში ასე ცოტა გრამმატიკული შეცდომები შეპარია“. იცოდე: ეს ჩემგან დიდი ქებაა! ჩემი სიტყვა ყოველთვის „სასტიკია“ – როცა სიმართლესთან მაქვს საქმე. ხოლო იგი არაოდეს გამოდის უნაყოფო – ვინაიდან კეთილი ნდომით არის თქმული.“ – მისწერა რეცენზინტმა ავტორს, როდესაც რეცენზიის თაობაზე მისგან გამოხმაურება ვერ მიიღო (უენევა 30.07.1962). სამწუხაროდ, საერთოდ არ ჩანს გიორგი გამყრელიდის მიერ გრიგოლისთვის მიწერილი წერილები. წესით და რიგით, ისინი შვეიცარიაში, გრიგოლ რობაქიძის არქივში უნდა იყოს შემონახული. უნდა ვირწმუნოთ, რომ ქართული მწერლობის ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანი ეს მიმოწერა, ერთ მშვენიერ დღეს სრული სახით აღდგება და გამოქვეყნდება. ქვემოთ იბეჭდება გიორგი გამყრელიდის ორი ლექსი

## გიორგი გამყრელიდე ლექსები

### მოთხოვობები

და

65 ასაკი გამყრელი

ვარდის ლექსები



გამყრელიდის სიძის (დის ქმრის), სწორედ იმუამად ტრაგიკულად დალუბულ, პროზაიკოს აკაკი ბელიაშვილის მეცნიერებამ, რაც ამ უკანასკნელის ნანარმოების ერთი პერსონაჟის მიერ ქრისტეს აუგად ხსნებას მოჰყვა. „გავიგე მიზეზი შენი დუმილისა. საყვედურით მომმართაო, – მაცნობა კალემ – „ვაჟას ენგადში“ დალუბულის: აკაკი ბელიაშვილის ასე ხსნებისათვის. ვაცნობეო: რომ წერილი მზად იყო, როცა ჩვენ ეს ამბავი გავიგეთო. მე კალეს მაშინვე მივწერე: კიდეც რომ მცოდნოდა – ნათქვამს წერილითგან არ ამოვილებდი-მეთქი. რაფომ? განასიკვდილი ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობისაგან-მეთქი?! გწერ ამას და თან ვუმატებ: დალუბული ძმა, რომ ყოფილიყო ჩემი – მე ერთ სიტყვითაც არ შევარბილებდი იქ თქმულს. ნათესაობა ერთია და სიმართლე კიდევ სხვა: განუზომელ მეტი!“ – მისწერა გრიგოლმა გიორგი გამყრელიდეს (უენევა 30.07.1962) და საზი გაუსვა ღვთისა და სიმართლისადმი ერთგულების საკითხში თავის შეურყეველ თვალსაზრისს. ამას

ენვერ ნიუკარაძე

## ამსახურების მიზანი

ჩატარების მიზანი...

ამსახურების მიზანი ჩატარების მიზანი არ გვეთის მთავრებს, არაგვის, მტკვარზე, რიონზე და მოწამეთაში.

დაკოდილ არწივს მხრებზე სისხლი ჩამოსდიოდა; იხვრიპებოდა ბილნი ტუჩით ქართლის ზედაშე; არვინ უნთებოდა თაფლის სანთელს საწყალ დედაშენს; ხახულის ხატთან ფეხშიშველი რომ დადიოდა.

ჰურიდა გულცივად საფლავების ამომბარავი წინაპართ ჩონჩხებს, მამა-პაპათ სამარხებიდან; ცრემლი უონავდა ხავსიანი ძველი ქვებიდან. იყო გოდება და ტირილი გულის მზარავი; ვით პერგამენტის, დახეული ძველი ბარათი ეყარა მტვერში ჩვენი ხრმალი და მუზარადი.

1926 წელი

## მაგრამ რა ვუყო მე ამ ხევშს

ამაღლამ მწყემსი არ წამოშლის ზეცაში ფარებს და იალალზე არ გაირეკს ვარსკვლავთა ფარას. გაბერილ გუდით ქარი უკრავს საზანდარს გარედ, კოშკიდან ვისმენ საათების რეკვას შემზარავს. ვინ მოიგონა საათები ციფრების სახით!

ვინ დაყო უამი განუყოფი მრავალ წუთებად? მუდამ მაგონებს მათი რეკვა სიკვდილის ძახილს მუდამ ძრნის სული მათი სმენით და იხუთება. ქარს უნდა ყველა ნაფეხურის წარხოცოს კვალი, გაშმაგებული შეძახილით კოშკებზე წივის, უკანასკნელი სურს ჩაქროს მას ნაპერწკალი, – სულის უფრსკულში ჩარჩენილი იმედის სხივის.

დაკოდილ ქუჩებს... გავეცლები ქალაქის ქუხილს... დაგუბრუნდები ისევ ბინას, მყუდროს და მდუმარს, მაგრამ ბინაზეც ვერ ვისვენებ: თუ ვისმენ წუხილს – შიშველ ხეების, ჩემს ფანჯრებთან რომ დგანან ჩუმად. თქვენ თუ გამენიათ ზამთრის ღამით გოდების ზარად ხეების გმინვა, მათი ოხვრა შიშველ რტოებით ვერსად ვერ წავლენ, ერთ ადგილზე დამდგარი მარად, დამცირებულნი, გაძარცულნი და მარტოები.

წავიყვან სახლში, თუ ვიპოვნე ცინდალი კატის.

დაგანთებ ბუხარს. რძეს გავათბობ. გავახვევ თუთუნს.

ის ჯერ რძეს შესვლებს... პირს მოინმენდს პატარა თათით:

შემდეგ დაწვება ჩემს ბალიზზე და მორთავს კრუტუნს.

თუ ვნახე სადმე გათმილი მშიერი ჩიტი,

ვუშველი მასაც, თოვლის პირზე საკანკის მოყრით.

მაგრამ რა ვუყო მე ამ ხეებს! ვუშველო რითი?

ცივ ზამთრის ღამით გულს რომ მიკვლენ კვნესით და ოხვრით!

ვინ მოიგონა ამ საათის ისრები ნეტავ?

ვინ განიზრახა ამ სიცოცხლის ასე დაყოფა?

მაგრამ ცხოვრებავ! მე შენ თვალში ვერ შემომხედავ:

მე ვიცი შენი თვალთმაქცობა და ვერაგობა.

გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას და ზამთარს მღვრეულს,

საუკუნებს, წლებს და თვეებს, მწუხრსა და დილას:

მე ვუმზერ, როგორც განუყოფელ მთლიან ერთეულს,

სულმა ბორიოტმა რომ დაშალა, დაანაწილა.

ჩადგება ქარი... საზანდრისთვის არ ბერავს გუდას...

ნაპოვნი კუუტი სახეს იწმენდს ბუხართან, ალზე.

მე კი, კვლავ ვფიქრობ იმ ხეებზე, რომ სცივათ მუდამ.

როგორ ვუშველო, ვით შევაშრო ცრემლები თვალზე?

## 2019 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცემული წიგნები:

1. შ. ამირანაშვილი – ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები

2. გ. კვარაცხელია – მოვალე ვარ ქართველთათვის

3. 6. მაქაძე – იუსტინე აბულაძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა

4. ა. ხარაზაშვილი – სიმრავლეთა თეორიის საწყისები

5. R. Khurodze, N. Svanidze – Mathematical Models to Control Reliability for Redundant Technical Systems

6. მუხრან მაჭავარიანი - 90 – საიუბილეო კრებული

7. ქალები მეცნიერებაში – ცნობარი

8. გ. ლორთქიფანიძე, დ. ჭუმბურიძე, მ. გოგიგიძე – ქართველები სპარსეთის, ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების ომებში (1600-1918)

9. III. Вадачкориа – Вопрос «Осетинского Геноцида» И Действительность Исторических Событий 1918-1925 гг.

10. ა. თოთაძე – ხონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა

11. ქართული არქეოლოგიური მეცნიერების დიდი დანაკარგი

რედაქტორი: ენვერ ნიუარაძე

დაკაბადონება: პაატა ქორქია

უნივერსიტეტი – საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის ათვლითი გამოცემა  
იქნება აკადემიის სტამბაში